პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 180 (5210) 11 1974 წ. სექტემბერი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

როგორც ცნობილია, ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. „ხუთი ღირსების რაინდთა" ამ მწვავე და საინტერესო შეჯიბრებაში ბრწყინვალედ იასპარეზეს საბჭოთა სპორტსმენებმა: მასპინძელი ქვეყნის ნაკრებმა ყველას აჯობა გუნდურ ჩათვლაში, ხოლო პირად ტურნირში ბადალი არ ჰყავდა ლვოველ პ. ლედნიოვს.

სურათზე: ჩემპიონატის მონაწილენი მიტიშჩის სასროლეთზე ტყვიის სროლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ა. იაკოვლევის ფოტო (საქდესი).





ავტოკროსი. ბ. ქვათაძის ფოტო.

## დაწინაურდა მასპინძელი

**სოხუმი**, 10 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი. სპეც. კორ.). სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო ტურნირში II და III ტურების შეხვედრები შედგა.

II ტურში ე. ვლადიმიროვმა (ალმა-ათა) დაამარცხა ა. გოორეგმაა (ტალინი), ა. ტუზოვსკიმ (სოხუმი) — ა. ბოკუჩავა (თბილისი) და ბ. კატალიმოვმა (ალმა-ათა) — დ. ჯანოევი (თბილისი).

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები გ. ზაიჩიკი (თბილისი) — ე. ბუხმანი (ლენინგრადი) და ზ. მიქაძე (თბილისი) — მ. მუხინი (ალმა-ათა).

III ტურში წარუმატებლად ითამაშეს ზაიჩიკმა, ი. ჩიქოვანმა (თბილისი), ჯ. ზერაძემ (წყალტუბო) და ბოკუჩავამ, რომლებიც დამარცხდნენ შესაბამისად მუხინთან, ბუხმანთან, კატალიმოვთან და ჯანოევთან. ტუზოვსკიმ მოუგო ვლადიმიროვს. ყაიმზე შეთანხმდნენ ს. როზენბერგი და მ. ცეიტლინი (ორივე — მოსკოვი).

3 ტურის შემდეგ დაწინაურდა სოხუმელი ტუზოვსკი — 2 ქულა და 1 გადადებული პარტია.

• •

## პოლუგაევსკი — 3,5 ქულა

**სოჩი, 10 სექტემბერი.** მ. ჩიგორინის აქ მიმდინარე მემორიალში 4 ტურის შემდეგ ლიდერობს მოსკოველი მოჭადრაკე ლ. პოლუგაევსკი — 3,5 ქულა. მან სძლია ვ. ანტოშინს, ე. სვეშნიკოვს (ორივე — სსრ კავშირი), კ. რობაჩს (ავსტრია) და დაუზავდა ნ. რაშკოვსკის (სსრ კავშირი).

მიუხედავად იმისა, რომ მემორიალში 8 დიდოსტატი მონაწილეობს, II ადგილზეა ქვეყნის ამასწინანდელი გუნდური ჩემპიონატის გმირი, თმსკელი საერთაშორისო ოსტატი ვ. ცეშკოვსკი. მას 3 ქულა აქვს. ეს დიდოსტატ რ. ხოლმოვთან და მოლონელ ოსტატ ა. შნაპიკთან გამარჯვების, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვ. სმისლოვთან და საერთაშორისო ოსტატ ს. გარსიასთან (კუბა) დაზავების შედეგია.

დიდოსტატებს ა. სუეტინსა და გ. ფორინტოშს (უნგრეთი) 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, დიდოსტატ ვ. ანტოშინს კი — 2,5 ქულა.

## წარწერა ობელისკზე

**ჩ**რდილოეთ კავკასიიდან სოხუმისკენ მომავალმა მოსკოვის მე-2 საათის ქარხნის კომკავშირელმა ტურისტებმა ქლუხორის ზეკართან კლდის ქვეშ იპოვეს მეთაურის საველე ჩანთა. ჩანთაში აღმოჩნდა სია, რომელშიც 28 მებრძოლის სახელი და გვარი იყო ჩამოთვლილი. მათ შორის ეწერა ორი ქართველის გვარი: ა. ნემსაძე და ა. შავლიაშვილი. მოსკოველმა მოლაშქრეებმა იმ მებრძოლთა პატივსაცემად ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე ობელისკი აღმართეს.

შემდგომ აღმოჩნდა, რომ იმ სიაში აღნიშნული ბევრი მებრძოლი დღესაც ცოცხალია. მათ შორის გახლდათ მთასვლელური ჯგუფის ხელმძღვანელი, ამჟამად მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი კათედრის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. გუსევი. ეს ის გუსევია, რომელმაც 1948 წლის იანვარში ჯგუფთან ერთად იალბუზზე ფაშისტური დროშა მოხსნა და მის ნაცვლად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალამი აღმართა.

ამ დღეებში სოხუმში ჩამოვიდნენ კავკასიის დაცვის მონაწილეები დ. სტრაუენკო, ა. სოლოდოვნიკოვი, გ. ხოტიონოვი და მათი მეთაური ა. გუსევი. ვეტერანმა მებრძოლებმა მოსკოვის მე-2 საათის ქარხნის კომკავშირელებთან ერთად გადაწყვიტეს უსახელო მწვერვალზე, ობელისკთან ასვლა.

„დუმდნენ ზვიადი მთები. მხოლოდ ანცი მდინარეების ხმაური არღვევდა სიწყნარეს. რამდენი ამბის მომსწრეა ეს მთები იმ ქარიშხლიან დღეებში! ვეტერანმა მებრძოლებმა ობელისკთან ერთხელ კიდევ გაიხსენეს გარდასული ქარცეცხლიანი დღეები. ობელისკზე წარწერაა: „კავკასიის გმირულ დამცველებს. თავს ვხრით თქვენი გმირობის წინაშე".

მოლაშქრეებმა კავკასიონზე დაღუპულ მებრძოლთა პატივსაცემად მწვერვალიდან ჯერ მაშხალა ისროლეს, შემდეგ კი გუსევმა დასცალა სნაიპერული შაშხანა, რომლითაც ამ მიდამოებში იბრძოდა.

აღსანიშნავია, რომ აქ გამართული ბრძოლები ა. გუსევმა შესანიშნავად აღწერა თავის ახალ წიგნში — „იალბუზიდან ანტარქტიდამდე".

ნ. მიქაშავიძე,
ლაშქრობის მონაწილე.
სოხუმი.

## გარდამავალი თასისთვის

ცხარე ბრძოლით აღინიშნა კასპის რაიონის მოშაშე ვაჟთა ტურნირი გარდამავალი თასისთვის. შეჯიბრებაში 18 მოშაშე მონაწილეობდა, მათ შორის — 3 ოსტატობის კანდიდატი და 10 პირველთანრიგოსანი.

I-II ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა — ავტოსარემონტო საწარმოს შოფერმა ვ. პავლიაშვილმა და კასპის ჭადრაკის კლუბის გამგემ ა. ყაზარაშვილმა — 14,5-14,5 ქულა. გამარჯვებულთა შორის დაინიშნა დამატებითი 8-პარტიიანი მატჩი, რომელიც ყაიმით (4:4) დამთავრდა. მეტოქეებმა ბრძოლა პირველ მოგებამდე განაგრძეს. იმარჯვა პავლიაშვილმა და რაიონის ჩემპიონის გარდამავალი თასიც მოიპოვა.

III ადგილი ხვდა ქარხანა „კასპიელექტროაპარატის" წარმომადგენელ ა. შალუტაშვილს.

ლ. ელისაბედაშვილი.
(ჩვენი კორ.).
კასპი.

## ბოლო წუთების ფასი

**გრინსბორო** (ჩრდილოეთ კაროლინა), **10 სექტემბერი.** 65:63 — ასეთი ანგარიშით იყვნენ წინ ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებთან აქ გამართულ მორიგ ამხანაგურ მატჩში სსრ კავშირის წარმომადგენლები. თამაშის დამთავრებას 2 წუთი აკლდა... საბოლოოდ სტუმრები დამარცხდნენ — 66:67.

საბჭოთა ნაკრები თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა ინიციატივას. პირველი ტაიმიც მის სასარგებლოდ დამთავრდა 7 ქულის სხვაობით. მაგრამ სტუმრებმა მატჩის მიწურულს აშკარად სუსტად ითამაშეს.

ამერიკელთა შორის ბრწყინვალე თამაშით გამოირჩია თავი ცნობილმა დ. ტომსონმა, რომელმაც თავის გუნდს 24 ქულა შესძინა. სწორედ მან მოუტანა ამერიკელთა კოლექტივს ბოლო წამებზე 4 მომგებიანი ქულა — ყველა საჯარიმო შეუცდომლად გამოიყენა.

სტუმრებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ ორი საჯარიმო სროლიდან ი. პავლოვმა მხოლოდ ერთი ბურთი მოათავსა კალათში. სსრ კავშირის ნაკრების წევრთაგან ყველაზე შედეგიანი ა. ბელოვი იყო — 20 ქულა.

## ამჯერად — შინ და გარეთ...

გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი, რომელიც 10 სექტემბერს სსრ კავშირსა და ფინეთის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდების მატჩით დაიწყო მოსკოვში, რიგით მერვეა. მაგრამ ეს ასპარეზობა პირველად ტარდება გუნდების მისვლა-მოსვლით სხვადასხვა ქვეყანაში.

შვიდი ტურნირიდან ექვსში „იზვესტიის" მთავარი პრიზი სსრ კავშირის ნაკრებმა დაიმსახურა, 1970 წელს კი ჩეხოსლოვაკიის ეროვნულმა გუნდმა აჯობა ყველას.

პირველ ორ შეჯიბრებაში მასპინძლები ორი ნაკრებით იყვნენ წარმოდგენილი. შემდგომში ყოველ ქვეყანას მხოლოდ ერთი გუნდით შეეძლო ტურნირში მონაწილეობა.

სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა წინა შვიდივე ტურნირში ითამაშა, ხოლო ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ჰოკეისტებმა თითო შეჯიბრება გამოტოვეს.

ამჯერად პრიზისთვის იბრძვიან სსრ კავშირის, ფინეთის, შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

ტურნირი 1975 წლის მარტში დამთავრდება.

## დღის ნომერში

- ცურვის მასობრივად შესწავლისთვის (მე-2 გვ.).
- ფეხბურთის ქომაგთა ფიქრები და განცდები (მე-3 გვ.).
- ექვსივე ბურთი გიანკიმ გაიტანა (მე-4 გვ.).

## II ადგილზე

**მოსკოვი**, 9 სექტემბერი (დეპეშით). აქ გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი სპრლვაო კარჭაპებით ნიჩბოსნობაში. შარშან ამგვარ შეჯიბრებაში საქართველოს ვაჟთა გუნდმა პირველობა არავის დაუთმო და გარდამავალი თასიც მოიპოვა. საქართველოს ნიჩბოსნებმა ამჯერადაც წარმატებას მიაღწიეს — კვლავ I ადგილი დაიკავეს.

ჩვენი ქალიშვილები IV ადგილზე გავიდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს გუნდს II საპრიზო ადგილი ხვდა.

ნ. ევგენიძე,
მწვრთნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცურვა ყველამ უნდა იცოდეს!

## რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ ცურვის შესწავლის შესახებ

შემოწმებით დადგინდა, რომ რესპუბლიკის ბევრ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში ცუდად სრულდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება მოსწავლე ახალგაზრდობისთვის ცურვის შესწავლის თაობაზე.

ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრები, საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოსწავლე ახალგაზრდობისთვის ცურვის შესწავლას საკუთარი აუზების უქონლობის მომიზეზებით. ისინი მაქსიმალურად არ იყენებენ ქალაქსა თუ რაიონში არსებულ საცურაო აუზებს, წყალჯომარდობის სადგურებს, ბუნებრივ წყალსაცავებს... სასწავლებლების ხელმძღვანელები არ იყენებენ ადგილობრივ რეზერვებსა და საშუალებებს მარტივი ტიპის საცურაო აუზების მშენებლობისთვის. მაგალითად, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში ამ ათიოდე წლის წინათ დაწყებული აუზის მშენებლობა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი და უყურადღებობის გამო აბაზანის კედლები დაიშალა; ზემდგომი ორგანოების მრავალგზის დადგენილების მიუხედავად, წლების მანძილზე ჭიანურდება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დახურული საცურაო აუზის მშენებლობა.

იშვიათია, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მოსწავლეთა მიერ მშდ კომპლექსის ჩაბარებისას გვერდს უვლიან ცურვას, რაც ყოვლად დაუშვებელია და სასტიკად ეწინააღმდეგება მშდ კომპლექსის დებულებას.

იმის გამო, რომ ახალგაზრდობის ჯერ კიდევ დიდმა ნაწილმა ცურვა არ იცის, ზაფხულის არდადეგების დროს, საწარმოო პრაქტიკის პერიოდში, საწარმოებსა და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის დროს უბედური შემთხვევები ხდება.

ახალგაზრდობისთვის ცურვის შესწავლას, როგორც ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სამხედრო-გამოყენებითი მნიშვნელობის საქმეს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამინისტრო ავალებს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ხელმძღვანელებს ადგილობრივი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მოსწავლე ახალგაზრდობისთვის ცურვის შესწავლის უზრუნველსაყოფად, რისთვისაც:

მოსწავლე ახალგაზრდობაში ფართოდ გაშალონ მუშაობა დევიზით — „შევისწავლოთ ცურვა!" ეს საქმიანობა ისეთნაირად წარმართონ, რომ სწავლების სულ ცოტა ორი-სამი წლის მანძილზე ყოველი მოსწავლე ეუფლებოდეს ცურვას, ხოლო სასწავლებლის დამთავრებისას ჩაბარებული ჰქონდეს მშდ კომპლექსის ნორმატივი;

არსებული პირობებისა და საშუალებების გამოყენებით უზრუნველყონ მარტივი ტიპის საცურაო აუზების მშენებლობა, რომელთა მშენებლობაში აქტიურად ჩააბან მოსწავლე ახალგაზრდობა, ამასთან, მაქსიმალურად გამოიყენონ ქალაქებსა და რაიონებში არსებული საცურაო აუზები, წყალჯომარდობის სადგურები, ბუნებრივი წყალსაცავები და სხვ.;

საზაფხულო გამაჯანსაღებელ სპორტულ ბანაკებში მოაწყონ მოსწავლეთათვის ცურვის სწავლება. ცურვის შესწავლის ადგილებზე დააწესონ სამედიცინო პერსონალის მორიგეობა, იქონიონ სამაშველო ინვენტარი და უზრუნველყონ სრული უსაფრთხოება;

მოსწავლე ახალგაზრდობისთვის ცურვის მასობრივად შესწავლის უზრუნველსაყოფად მასწავლებლებად და მწვრთნელებად მიიწვიონ ცურვის სპეციალისტები, რომლებსაც ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მუშაობაში.

# რომში უკეთესად იასპარეზეს

რომი, 8 სექტემბერი. ბოლო წლებში ტრადიციად იქცა სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მთავარი როლი კონტინენტის ჩემპიონატებში. ასე იყო ახლაც, როცა იტალიის დედაქალაქში დამთავრდა ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატი. გდრ-ის, სსრ კავშირის, პოლონეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და იუგოსლავიის მძლეოსნები 39 ოქროს მედლიდან 26 ჯილდოს მფლობელები გახდნენ.

ყველაზე უხვი მოსავალი, ისევე როგორც სამი წლის წინათ ჰელსინკში, გდრ-ის მძლეოსნებმა მოიმკეს. მათ მოიხვეჭეს 27 მედალი, აქედან — 10 ოქროსი, 12 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოსი. ეს ძლიერი და თანაბრად შედგენილი გუნდის დამსახურებული წარმატებაა. გერმანელები განსაკუთრებული წარმატებით ასპარეზობდნენ ბოლო დღეებში და ჩემპიონატი სამი მსოფლიო რეკორდით დაამშვენეს: რუტ ფუქსმა შუბი 67,22 მეტრზე ტყორცნა, 4×100 მეტრზე ქალთა ესტაფეტა 42,51 წამში დაფარეს, ხოლო როზემარი ვიტჩასმა 195 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა დაძლია.

საბჭოთა მძლეოსნებს ერთი ოქროს მედლით ნაკლები აქვთ, სამაგიეროდ, საგრძნობლად ჩამორჩებიან ვერცხლის მედლების ნადავლით. საბჭოთა ნაკრებს 3 ვერცხლის მედალი აქვს და 6 ბრინჯაოსი.

წლევანდელი პირველობა აღინიშნა პოლონური მძლეოსნობის ახალი აღმავლობით. 17 ქვეყანას შორის პოლონელები III ადგილზე გავიდნენ და 4 ოქროს, 3 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. 4-4 უმაღლესი ჯილდო დაიმსახურეს ფინეთისა და ინგლისის მძლეოსნებმა.

...საბჭოთა ნაკრებს მეცხრე ოქროს მედალი ჩემპიონატის ბოლო დღეს თბილისელმა ვ. სანეევმა მოუტანა. თავდაპირველად მას საქმე კარგად ვერ წაუვიდა, პირველი ნახტომი გადაბიჯების გამო არ ჩაეთვალა. მეორე ნახტომში კი ჩვენ ნამდვილი სანეევი ვიხილეთ. სწრაფი გარბენი, სამი მძლავრი ნაბიჯი და მსაჯებმა 17,23 მ აღნიშნეს. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავს. დანარჩენ მონაწილეთაგან ვერც ერთმა ვერ შეძლო 17 მეტრის გადალახვა.

შეჯიბრების შემდეგ ჩემპიონმა თქვა: — გამარჯვებაში აქაური ჰავა დამეხმარა, რომელიც ძალიან ჰგავს ჩემი მშობლიური სოხუმის ჰავას. სხვებზე სიცხემ და ტენიანობამ მომაღუნებლად იმოქმედა. ვფიქრობ, ჩვენი გუნდი შეჯიბრებისთვის მოსკოვის საგარეუბნო ქალაქ პოდოლსკში კი არ უნდა მომზადებულიყო, არამედ სადმე სოხუმის მახლობლად. მაშინ რომში ჩვენ უფრო კარგად ვიასპარეზებდით...

ჩემპიონატის ბოლო დღეებში საბჭოთა მძლეოსნებს ბევრჯერ მოეცარათ ხელი. სიგრძეზე ხტომაში ფეხი დაიშავა და ვეღარ იასპარეზა საბჭოთა ათჭიდელების ლიდერმა, ლენინგრადელმა რ. ზიგერტმა. და თუმცა კიეველმა ლ. ლიტვინენკომ ოლიმპიური „ვერცხლის" ჯამი (8122 ქულა) დააგროვა, ეს რომში მხოლოდ მეოთხე შედეგი იყო. 4×400 მეტრზე ესტაფეტაში საბჭოთა ვაჟები არც თუ უსაფუძვლოდ ბრინჯაოზე ფიქრობდნენ, მაგრამ ესტაფეტის გადაცემისას რომელიღაც მეტოქემ ე. გავრილენკოს ფეხი დააბიჯა და.. იმედებიც გაქრა. ლენინგრადელი მ. სიდოროვას ტრავმამ დაშალა საბჭოთა მძლეოსნების კვარტეტი 4×100 მეტრზე ესტაფეტაში, სადაც ისინი ტრადიციულად პრიზიორთა შორის არიან. პირველივე ტყორცნის შემდეგ საგრძნობლად მოიკოჭლა გამოცდილმა რიგელმა მებრძოლმა, შუბის მტყორცნელმა ი. ლუსისმა — თავი იჩინა ძველმა იარამ. ლუსისი მაინც მამაცურად იბრძოდა და ჩასათვლელი VI ადგილი დაიკავა — 83,06 მ. მეორე საბჭოთა მტყორცნელმა, ვიტებსკელმა ნ. გრებნიოვმა 83,66 მეტრზე ტყორცნა შუბი და 2 სმ დააკლდა ბრინჯაოს მედლამდე.

ანდაზა — ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, მოგვაგონდა, როცა 4×100 მეტრზე ესტაფეტაში ვ. ბორზოვის რბენას ვუყურებდით ფინიშზე. მან შეუძლებელი მოინდომა: დასწეოდა საფრანგეთის, იტალიისა და გდრ-ის მძლეოსნებს, რომელთაგან უკანასკნელმა ესტაფეტა 3 მეტრით წინ მიიღო...

რაც შეეხება მოსკოვის ოლქის წარმომადგენელს, სტაიერ ვ. ზატონსკის, იგი ჯერ კიდევ ვერაა მომწიფებული ისეთი სიჩქარისთვის, რომელიც 5 კილომეტრზე მორბენლებმა განავითარეს. ინგლისელი ბ. ფოსტერი მამაცურად, „ბოლოტნიკოვისებურად" ლიდერობდა და გაიმარჯვა კიდეც — 13.17,21. მან თითქმის 10 წამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე მიუნხენში ჰქონდა ოლიმპიურ ჩემპიონს, ფინელ ლ. ვირენს.

საერთოდ, რომაული მედლები უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე მიუნხენისა. ფინალისტების შედეგები უფრო მჭიდროა, ხოლო პრიზიორთა მიღწევები უფრო მაღალი, ვიდრე XX ოლიმპიადის ჩემპიონთა შედეგები. ევროპის პირველობის „არითმეტიკა" დამაჯერებლად მოწმობს, რომ მსოფლიოს მძლეოსნობის ცენტრი ახლა ამ კონტინენტზეა. ამიტომ ხომ არ იყო, რომ პირველობაზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა შორის ასე მრავლად იყვნენ ამერიკელები? ევროპის პირველობა ხომ ოლიმპიური მონრეალის პროლოგია!

ოლიმპიადა და ჩემპიონატი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ტექნიკური აღჭურვილობითაც და აქაც ევროპის ჩემპიონატი უფრო მაღლა იდგა, ხოლო ზოგ რამეში ტექნიკური სიახლეებიც გამოიყენა (მაგალითად, ორი კომპიუტერი სინათლის ტაბლოზე უმალ იძლეოდა ბრძოლის მსვლელობის სურათს ხტომასა და ტყორცნაში).

საბჭოთა ნაკრებისთვის უკანასკნელი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს 4×400 მეტრზე ესტაფეტაში მორბენალმა ქალებმა. რიგელები ი. კლიმოვიჩა და ი. ბარკანე, მოსკოველები ნ. სოკოლოვა და ნ. ილინა ფინიშზე სსრ კავშირის რეკორდით იყვნენ — 3.26,1 (გამარჯვებულების — გდრ-ის სპორტსმენების დროა 3.25,2).

რომის ჩემპიონატმა, რომელშიც საბჭოთა ნაკრებმა გაცილებით უკეთ იასპარეზა, ვიდრე ჰელსინკში, ბევრი ახალგაზრდა, ძლიერი და ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. მათ შეუძლიათ ბოლომდე იბრძოლონ გამარჯვებისთვის. ასეთები არიან ჭოკით მხტომელი, 22 წლის ლენინგრადელი ვ. კიშკუნი, მისი თანაქალაქელი, უროს მტყორცნელი, 23 წლის ა. სპირიდონოვი, რომელიც პირველად გახდა კონტინენტის ჩემპიონი (74,14 მ), 22 წლის როსტოველი ვ. პონომარიოვი. მან 800 მეტრზე იასპარეზა და მეორე შედეგი აჩვენა საბჭოთა მძლეოსნობის ისტორიაში — 1.46,0.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, საბჭოთა გუნდში აშკარა ჩავარდნები არ მომხდარა. ჩვენი ნაკრები ამჯერად უფრო მებრძოლი სულისკვეთებით აღსავსე და მომზადებული ჩანდა, მაგრამ მწვრთნელთა შეცდომები მაინც მოხდა. მაგალითად, საჭირო კი იყო ლ. ბრაგინას ორ დისტანციაზე — 3000 და 1500 მეტრზე რბენაში გამოყვანა? ან რატომ არ გამოიყვანეს ვ. ბორზოვი 200-მეტრიან მანძილზე, სადაც, გამარჯვება თუ არა, მედალი მაინც ჰქონდა ხელთ? ამ ჩემპიონატის გაკვეთილები უნდა გავითვალისწინოთ მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების დროს.

ზ. ბუხოვცევი,
ლ. პოლუნინი.
(საქდესის სპეც. კორ.).

# ორ ჯგუფად

ქუთაისში მიმდინარეობს „განთიადის" საქალაქო საბჭოს XVIII სპარტაკიადა. მოასპარეზე გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი.

უკვე დამთავრდა შეჯიბრებები რამდენიმე სახეობაში. პირველ ჯგუფში ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივის ქალთა გუნდი უძლიერესი იყო კალათბურთსა და ფრენბურთში. ამ საწარმოს წარმომადგენლებმა მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებაშიც იყოჩაღეს.

მოჭადრაკეთა და მძლეოსანთა შეჯიბრებებში ყველას აჯობეს საავტომობილო ქარხნის ფიზკულტურელებმა.

მეაბრეშუმეებმა არავის დაუთმეს პირველობა ტყვიის სროლაში, კალათბურთელ და ხელბურთელ ვაჟთა ტურნირებში.

საერთო კომპლექსურ ჩათვლაში ჯერჯერობით 104 ქულით ლიდერობენ მანქანათმშენებლები. II ადგილზე არიან აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, ხოლო III — ელექტრომექანიკური ქარხნის ფიზკულტურელები.

მეორე ჯგუფის გუნდებს შორის 160 ქულით საერთო კომპლექსურ ჩათვლაში წინაა რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის გუნდი.

ლ. ფაჩუაშვილი.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

## სპორტული ბეჭდური დაგვეხმარეთ

### სარგებელი გაგვიხსენეს

პატივცემულო რედაქცია!

დუშეთის რაიონის სოფელ ლამოვნის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებს არ გაგვაჩნია სპორტული მოედანი. რამდენიმე წლის წინათ სოფელს ჰქონდა სპორტული მოედნისთვის გამოყოფილი ნაკვეთი, მაგრამ კოლმეურნეობამ იგი გადახნა. სკოლის ხელმძღვანელობამ რამდენიმეჯერ ითხოვა სპორტული მოედნისთვის ადგილის გამოყოფა, მაგრამ ამაოდ.

გთხოვთ, გაგვიწიოთ დახმარება!

ლამოვნის რვაწლიანი სკოლის მოსწავლეთა სახელით:

გ. გოლოშვილი,
ნ. ბედოშვილი,
მ. მელაძე.



ანტრაქტში...

გ. თათარაშვილის ფოტოეტიუდი.

XXVI

**უმაღლესი ლიგა**

9 სექტემბერს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის 21-ე ტურის შეხვედრები.

„არარატი“ — „დინამო“ (კიევი) 0:0. ერევნელთა აშკარა უპირატესობა გამოუყენებელი დარჩა, — მათ გოლად ვერა და ვერ აქციეს სტუმართა კართან შექმნილი ბევრი ხელსაყრელი მომენტი.

„ქაირათი“ — „დნეპრი“ 1:0. სტუმრების მასირებული დაცვის დაძლევა მოხერხდა მხოლოდ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის საშუალებით, რომელიც „დნეპრის“ კარში დაინიშნა უხეში თამაშისთვის. პენალტი გაიტანა იონკინმა. 14 გოლით იგი კვლავ სათავეში ჩაუდგა საუკეთესო სნაიპერთა სიას.

გაფრთხილება მიეცა ალმაათელ ჟუიკოვს.

„ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“ 1:0. ტორპედოელთა წარმატებების ხანგრძლივი სერია შეწყვიტეს ოდესელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს თავიანთი ნახევარმცველის მაკაროვის მიერ 43-ე წუთზე გატანილი ბურთის წყალობით.

ცსკა — „ნისტრუ“ 1:1. გათამაშების აუტსაიდერი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში იყო წინ (ბურთი მე-2 წუთზე გაიტანა კრასნოვმა), მაგრამ მოსკოველმა ფედოტოვმა 87-ე წუთზე შეძლო ანგარიშის გაქვითვა.

**პირველი ლიგა**

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (კ.) | 21 | 10 | 9 | 2 | 32—12 | 29 |
| „ჩერნომორ.“ | 21 | 9 | 8 | 4 | 30—22 | 26 |
| „სპარტაკი“ | 21 | 9 | 7 | 5 | 22—18 | 25 |
| „ზენიტი“ | 21 | 6 | 13 | 2 | 25—25 | 25 |
| „დინ.“ (მ.) | 21 | 8 | 8 | 5 | 32—21 | 24 |
| „ტორპედო“ | 21 | 9 | 6 | 6 | 26—19 | 24 |
| „შახტიორი“ | 21 | 6 | 10 | 5 | 23—22 | 22 |
| „დნეპრი“ | 21 | 7 | 7 | 7 | 18—23 | 21 |
| „ქაირათი“ | 20 | 6 | 8 | 6 | 29—27 | 20 |
| „არარატი“ | 20 | 6 | 7 | 7 | 20—18 | 19 |
| „ფახთაქ.“ | 20 | 6 | 7 | 7 | 31—32 | 19 |
| ცსკა | 21 | 5 | 8 | 8 | 23—27 | 18 |
| „დინ.“ (თბ.) | 21 | 4 | 9 | 8 | 16—27 | 17 |
| „ზარია“ | 21 | 4 | 7 | 10 | 22—35 | 15 |
| „კარპატი“ | 18 | 2 | 9 | 7 | 13—20 | 13 |
| „ნისტრუ“ | 21 | 3 | 7 | 11 | 26—40 | 13 |

## რუსთაველთა გამარჯვება

ალმა-ათა, 8 სექტემბერი. აქ გაიმართა ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო თასის გათამაშების მატჩი ადგილობრივი ავტოსატრანსპორტო კონტორის გუნდსა და რუსთავის „მეტალურგს“ შორის. პირველ ტაიმს შედეგი არ მოუცია. შემდეგ მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს, მაგრამ მეტალურგებმა გაქვითეს გოლი და შემდეგ გადამწყვეტი ბურთიც გაიტანეს — 2:1.

გათამაშების შემდგომი მატჩი რუსთაველ ფეხბურთელებს შინაქვთ მოსკოვისა და უკრაინის გუნდების შეხვედრაში გამარჯვებულთან.

ფეხბურთი ფეხბურთი

# რეცენზია გულშემატკივრების თვალით

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 9 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 0:1 (0:0).

„დინამო“: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ესებუა, რეხვიაშვილი, გ. ნოდია (წერეთელი), მჭედლიშვილი.

„სპარტაკი“: პროხოროვი, ბუკიევსკი, ოლშანსკი, ლოგოფეტი, ოსიანინი, ლოვჩევი, კოკორევი, მინაევი, პისკარიოვი, გლადილინი, ანდრეევი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

გაფრთხილებულია ბუკიევსკი.

დუბლიორები — 2:2.

იმ პერიოდისთვის, როცა თბილისის „დინამოს“ ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს, რედაქციაში ხოავლად დაგროვდა მკითხველთა წერილები. მრავლად — ეს ნიშნავს, რომ ჩვენს კორესპონდენტთა შორის იყვნენ არა მარტო თბილისელები, არამედ გულშემატკივრები ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, გაგრიდან, რუსთავიდან, ფოთიდან, ზუგდიდიდან, თელავიდან, საგარეჯოდან, ზესტაფონიდან, ონიდან, გორიდან, ხაშურიდან... გვწერდნენ მოსკოვიდან, კიევიდან, ორჯონიკიძიდან, ტაშკენტიდან, ნოვოსიბირსკიდან, ნალჩიკიდან... ამას ვინ მოთვლის!

რას მოითხოვენ ფეხბურთის მოყვარულები, რა აწუხებთ, რას უჩივიან?

უჩივიან თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს, მათს უაღრესად სუსტ თამაშს, იმ საგანგაშო მდგომარეობას, რომელშიც ახლა იმყოფება ოდესღაც სახელგანთქმული, მძლავრი კოლექტივი, ჩვენი სპორტის მშვენება, ოდესღაც ჩემპიონი, ოდესღაც მრავალგზის პრიზიორი და თასის ფინალისტი.

წლეულს „ლელომ“ რამდენიმეჯერ გამოაქვეყნა ამგვარი წერილების მიმოხილვა, რათა დინამოელთათვის მიეწვდინა გულშემატკივართა ხმა, მათი გულისტკივილი, აეძულებინა გუნდი ეთამაშა ძალთა სრული მობილიზებით, პასუხისმგებლობის მთელი გრძნობით, ვინაიდან საქმე ეხებოდა არა უბრალო ჩავარდნას, შეუფერებელ ადგილს, არამედ გაუგონარ ამბავს: თბილისის „დინამო“ უმაღლესი ლიგის დატოვების რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

შემდგომში მკითხველთა წერილების გამოქვეყნება საჭიროდ არ მივიჩნიეთ იმ მიზეზით, რომ გუნდს ახალი ხელმძღვანელი მოევლინა, მერე დინამოელებმა დამაკმაყოფილებლად ითამაშეს ესპანეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, მოსკოვში დაამარცხეს ცსკა და თითქოს თავს აღწევდნენ მძიმე კრიზისს. ასეთ სიტუაციაში, როცა მდგომარეობა სწორდებოდა, მოთამაშეთა კრიტიკა შეიძლება მიზანშეწონილი არც ყოფილიყო და მათი მხარდაჭერა სჯობდა.

მაგრამ მდგომარეობის გამოსწორებამდე, თურმე, ჯერ კიდევ ძალიან შორსაა, კრიზისი ღრმა და სერიოზულია, საქმეს შველა უნდა საფუძვლიანი, რადიკალური ღონისძიებებით.

გუშინ, მოსკოვის „სპარტაკთან“ მატჩის მეორე დღეს, რედაქციაში დაგვხვდა ჯგუფი გულშემატკივრებისა, რომლებსაც სურდათ კიდევ ერთხელ გამოეთქვათ თავიანთი გულისტკივილი დინამოელთა სუსტი თამაშის გამო და მონაწილეობა მიეღოთ მატჩზე რეცენზიის დაწერაში. მათს ვინაობას არ დავასახელებთ, ვინაიდან რედაქციის სტუმრები არ წარმოადგენენ კერძო პიროვნებებს და საერთო, საზოგადოებრივ აზრს გამოხატავენ. ამას გარდა, როგორც ერთ-ერთმა მათგანმა თქვა, სამსახურში გამოცხადების ნაცვლად აგერ „ლელოში“ ვარ მოსული, ვის როგორ განვუმარტო, რომ დღეს მუშაობის თავი არა მაქვს და ბოლუა მახრჩობსო...

როგორ მიიღეს გულშემატკივრებმა მონაწილეობა რეცენზიის შექმნაში? როგორ და გვთხოვეს ჩვენი მოსაზრებანი მიაწოდეთ „დინამოს“ მოთამაშეებს, გააცანით ჩვენი ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა ცალკეულ ფეხბურთელებსაც და მთლიანად გუნდსაცო.

აა, მათი შენიშვნები: თბილისის „დინამო“ თამაშობს დუნედ, ნელ ტემპში, თითქმის უმოძრაოდ, შეჯგუფებულად, მოკლე, გარდიგარდმო გადაცემებით, მინდვრის შუაგულში დიდი დაყოვნებით, შაბლონურად, ყოველგვარ ტაქტიკურ მოულოდნელობათა გარეშე, მცირე მანევრით. 90 წუთის მანძილზე მეკარე პროხოროვს თითქმის არ დასჭირვებია რამდენადმე მაინც სახიფათო ბურთის მოგერიება, ვინაიდან „დინამოს“ ქაოსურ იერიშებს მცველებიც იოლად ართმევდნენ თავს...

რატომაა, რომ ძოძუაშვილი საკავშირო ნაკრებში სწორად თამაშობს, ჩვენს გუნდში კი განუწყვეტლივ აჩერებს ბურთს, ზედმეტად ატარებს და უმეტეს შემთხვევაში მეტოქეს აწვდის მას? ხურცილავას რეიდებმა მეტოქის კარისკენ მოულოდნელობის ყოველგვარი ელემენტი დაკარგა და საბოლოო დარტყმამდე მას მუდამ ფეხიდან ფეხზე უხდება ბურთის გადატანა და მორგება, ამასობაში კი გარღვევა უნაყოფოდ მთავრდება. გ. მაჩაიძე მოკლებულია ტაქტიკური ურთიერთმოქმედების უნარს, მ. მაჩაიძე კვლავ ზედმეტ ინდივიდუალიზმს იჩენს, არად აგდებს კოლექტივიზმის პრინციპებს, მისი „ავადმყოფობა“ გადაედო მჭედლიშვილსაც და ისიც „დამოუკიდებლ“ ერთეულად იქცა მინდორზე. კვლავინდებურად უშედეგო და უკბილოა ჩვენი გუნდის თავდასხმა. რეხვიაშვილი უსარგებლოდ იხევს მინდვრის სიღრმეში და მერე გართულებულ პირობებში სურს მარტოდმარტომ დაძლიოს მოპირდაპირე მცველთა წინააღმდეგობა, გ. ნოდია თავს არიდებს აქტიურ ბრძოლას, ბურთს თავიდან იცილებს არა რაიმე კომბინაციური მოსაზრებით, არამედ პასუხისმგებლობის თავიდან მოცილების მიზნით. ესებუა რამდენიმეჯერ კარგად გავიდა მარცხენა ფლანგზე, ასევე კარგად მიაწოდა ბურთი კარის წინ, იქ კი საქმის დამამთავრებელი არავინ იყო.

ამგვარი შენიშვნები მრავლად იყო გამოთქმული როგორც ცალკეული მოთამაშეების, ისე მთლიანად გუნდის მიმართ და ძნელია არ დაეთანხმო მათ. ვინც საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს და სწორად არ მიაჩნია მკითხველთა კრიტიკული მოსაზრებანი (მაღდველობაში, უპირველეს ყოვლისა, თვით დინამოელები გვყავს), საქმით უნდა დაამტკიცოს მათი მცდარობა, დაგვაჯეროს, რომ ეს ასე არაა.

თუ არა და, რით ავხსნათ გუნდის უმძიმესი სატურნირო მდგომარეობა და XIII ადგილი ჩემპიონატში, მხოლოდ 16 გატანილი გოლი, რითაც თბილისის „დინამო“ მარტო ერთ გუნდს („კარპატის“) უსწრებს, ან გატანილი და მიღებული ბურთების უარყოფითი ბალანსი (—11), რითაც მხოლოდ „ნისტრუზე“ და „ზარიაზე“ წინ ვართ?

ჩვენ ვიცით, რომ დინამოელები მეტისმეტად მტკივნეულად ღებულობენ კრიტიკას, მაგრამ განა შეიძლება ამ მიზეზით სასწორზე დავდოთ ქართული ფეხბურთის ბედ-იღბალი, ეჭვს ქვეშ დავაყენოთ მისი მომავალი?

ამ მატჩში ერთადერთი გოლი კოკორევმა გაიტანა 63-ე წუთზე, მაგრამ სპარტაკელებს კიდევ არაერთხელ შეეძლოთ მიეღწიათ წარმატებისთვის, დინამოელებს კი საამისო შესაძლებლობა ფაქტიურად არც ჰქონიათ: მათი იერიშები უპერსპექტივო იყო. გოლის გატანა ჩვენი ფეხბურთელებისთვის ურთულეს, უძნელეს პრობლემად იქცა.

ამიტომაა, რომ კრიტიკაზე უარყოფით რეაქციას და წყენას სჯობს ფეხბურთელებმა და მთელმა გუნდმა დარჩენილ მატჩებში ყველაფერი გააკეთონ თამაშის გარდაქმნისა და მდგომარეობის გამოსწორებისთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს წმინდა სპორტული თავმოყვარეობის საქმეა.

დაბოლოს, რედაქციას საჭიროდ მიაჩნია პატარა კომენტარი გაუკეთოს კ. ანძიულისის მსაჯობას. კაუნასელ არბიტრს ჩვენ კარგად ვიცნობთ, გვჯერა მისი მაღალი კვალიფიკაცისა, მაგრამ ამ მატჩში იგი ვერ იდგა სათანადო დონეზე. ანძიულისმა ვერ შეძლო აშკარად უხეში თამაშის აღკვეთა, აავსო ჯიბის წიგნაკი რაღაც ჩანაწერებით, მაშინ, როცა საჭირო იყო გადამჭრელი ზომების მიღება. ლოგოფეტი, მაგალითად, მთელი თამაშის მანძილზე დაურიდებლად უხეშობდა, დაუშვებელ ილეთებს მიმართავდა, მსაჯი კი უშფოთველად, გულგრილად ნიშნავდა საჯარიმოებს, ზოგჯერ კი ამასაც არ აკეთებდა.

ან ავიღოთ ის გოლი, რომელიც „სპარტაკმა“ გაიტანა. ლოვჩევის მიერ დარტყმული ბურთი გაგოშიძემ თავისგან მარჯვენა ძელთან მოიგერია კუთხურზე, მსაჯმა კი ბურთი საპირდაპირო ფლანგიდან მოაწოდებინა, რის შემდეგ კარი აღებულ იქნა. განა უმნიშვნელო დეტალია, თუ რომელი მხრიდან მოაწოდებენ კუთხურს? რასაკვირველია, არა. ვინ იცის, როგორ გათამაშდებოდა კუთხური მოწოდება იმ ფლანგიდან, საიდანაც იგი უნდა მოეწოდებინათ წესის მიხედვით. ფეხბურთში უმნიშვნელო დეტალები არ არსებობს და ეს ანძიულისმა კარგად უნდა იცოდეს.

## „დინამოს“ სკოლა იწვევს...

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივთან არსებული სპეციალიზებული სკოლა იღებს ნორჩ ფეხბურთელებს წლევანდელი სეზონისთვის. სკოლაში ჩაირიცხებიან 1963-65 წლებში დაბადებული ბავშვები.

თბილისის ნორჩ დინამოელთა წარმატებები საყოველთაოდაა ცნობილი. სკოლაში ბევრი ოსტატი აღიზარდა. ბავშვებთან აქ მუშაობენ გამოჩენილი ფეხბურთელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები გ. გაგუა, ხ. კოტრიკაძე, სპორტის ოსტატი ბ. სიჭინავა, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ო. უშვერიძე.

სკოლაში ჩარიცხვის მსურველთა გასინჯვა და შერჩევა იწარმოებს „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე დიღომში, ყოველ კვირა დღეს, 10-დან 14 საათამდე.

**საქართველოს ჩემპიონატი**

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

● „დინამო“ (სოხუმი) — „განთიადი“ (თბილისი) 6:1. მსაჯი ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

მასპინძელთა დიდი უპირატესობა თავიდანვე ნათელი გახდა. შესვენებისთვის კი ანგარიში უკვე 4:0 იყო. მეორე ტაიმში დინამოელებმა კიდევ 2 ბურთი გაიტანეს, „განთიადმა“ კი მხოლოდ „პრესტიჟის გოლის“ გატანა შეძლო.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 4:1. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

თავი გამოიჩინა ქერდიკაშვილმა, რომელმაც სამჯერ აიღო სპარტაკელთა კარი. კიდევ ერთი ბურთი გაიტანა ი. ნოზაძემ, ხოლო ერთადერთი საპასუხო ბურთი — ჯიჭოევმა.

● „ამირანი“ (ოჩამჩირე) — ასკ (თბილისი) 2:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

მატჩის პირველი ნახევარი ოჩამჩირელებმა მოიგეს — 1:0 (ჭითანავა). შემდგომში ინიციატივას კარგა ხნით არმიელები ფლობდნენ, მაგრამ ერთ-ერთი კონტრშეტევისას დარასელიამ მეორე ბურთი გაიტანა და მხოლოდ ამის შემდეგ გაქვითა ერთადერთი ბურთი დარჯანიამ.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:1. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

მაღრაძემ და შელიამ შესვენებამდე თითო ბურთი გაიტანეს და „მაღაროელმა“ ამით გამარჯვების საიმედო საფუძველი შექმნა. მეორე ტაიმის დასაწყისში ზესტაფონელმა გლინიანოვმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა, მაგრამ სევასტოპულომ და მაღრაძემ კვლავ დააწინაურეს თავიანთი გუნდი.

● „კახეთი“ (თელავი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:2. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

ხობელმა ფეხბურთელებმა ძალიან ცუდად ითამაშეს პირველ ტაიმში და 3 ბურთი მიიღეს თავიანთს კარში (ცირეკიძე, მაისურაძე, ჩაველაშვილი). შესვენების შემდეგ „კოლხეთმა“ გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ მხოლოდ 2 ბურთის გატანა შეძლო (ჯოჯუა, გვასალია).

გვერდით მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ხობელი რ. მირცხულავა.

● „ვარძია“ (ახპინძა) — „სულორი“ (ვანი) 5:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

მასპინძლებმა კარგად ითამაშეს და წილოსანის, ჯაშის, ცინაძის (2) და ფოცხვერაშვილის მიერ გატანილი გოლებით დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს.

აღსანიშნავია ის კურიოზული ამბავი, რომ „სულორი“ ამ მატჩში თამაშობდა... 10 ფეხბურთელის შემადგენლობით. გუნდის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო სრული კოლექტივის შეგროვება (!).

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 2:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

უდისციპლინო საქციელისთვის გაფრთხილება მიეცა თბილისელ დუდაროვს.

● „ივერია“ (ხაშური) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

კიკაძის მიერ გატანილი გოლის მერე ხაშურელები დაწინაურდნენ, მაგრამ როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, ანგარიში გაათანაბრა კვიტაიშვილმა.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ანგარიში 48-ე წუთზე გახსნა თოდიძემ, თამაშის ბოლოს კი მანვე მეორედ აიძულა მასპინძლები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

### II ჯგუფი

#### I ზონა

„განთიადი“ (ბორჯომი) — „გახთიადი“ (კასპი) 2:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:0, „განახლება“ (ადიგენი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 0:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 4:3, „სამცხე“ (აწყური) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 2:0.

#### II ზონა

ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „განთიადი“ (აბაშა) 2:2, „კოლმეურნე“ (წულუკიძე) — „გიგანტი“ (ლაითური) 1:0, „მზიური“ (გალი) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:4. საჩხერის „ჩიხურას“ მოგება ჩაეთვალა გულრიფშის „კოლმეურნესთან“.

### ზონალური გათამაშება

„ქიმიკოსი“ (ახმეტა) — „შალაური“ (თელავი) 6:2, „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) — „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 4:1, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ხვანჭკარა“ (ამბროლაური) 3:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „არაგვი“ (მცხეთა) 1:3, „თრიალეთი“ (წალკა) — „მეშაქრე“ (აგარა) 4:1. ბოგდანოვკის „ფარვანას“ მოგება ჩაეთვალა მარნეულის „სპარტაკთან“.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 23 | 15 | 6 | 2 | 49—15 | 36 |
| „მაღარ.“ | 25 | 16 | 4 | 5 | 47—15 | 36 |
| „დინამო“ | 24 | 13 | 6 | 5 | 47—23 | 32 |
| ასკ | 24 | 13 | 6 | 5 | 50—28 | 32 |
| „სალხინო“ | 24 | 10 | 11 | 3 | 38—21 | 31 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფ.) | 24 | 10 | 7 | 7 | 40—34 | 27 |
| „ეგრისი“ | 25 | 11 | 5 | 9 | 35—30 | 27 |
| ფიზკ. ინსტ. | 22 | 10 | 6 | 6 | 41—33 | 26 |
| „კახეთი“ | 24 | 10 | 6 | 8 | 41—40 | 26 |
| „შუქურა“ | 25 | 9 | 7 | 9 | 34—24 | 25 |
| „ამირანი“ | 24 | 10 | 5 | 9 | 27—28 | 25 |
| „ლოკომ.“ | 22 | 8 | 8 | 6 | 32—29 | 24 |
| „კოლხეთი“ | 24 | 7 | 10 | 7 | 32—31 | 24 |
| „ქართლი“ | 25 | 9 | 5 | 11 | 41—42 | 23 |
| „მეშახტე“ | 24 | 9 | 4 | 11 | 31—42 | 22 |
| „განთ.“ | 25 | 4 | 7 | 14 | 27—47 | 15 |
| „ვარძია“ | 25 | 6 | 3 | 16 | 24—44 | 15 |
| „სულორი“ | 25 | 5 | 5 | 15 | 23—69 | 15 |
| „სპარტაკი“ | 25 | 4 | 4 | 17 | 28—58 | 12 |
| „ივერია“ | 25 | 4 | 3 | 18 | 23—57 | 11 |




## ორიგინალური გამოთხოვება

ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, რომ ნაკრების მწვრთნელად დანიშნული დ. რივი საკმაოდ ორიგინალურად გამოეთხოვა თავის კლუბ „ლიდს იუნაიტედს". გამოსათხოვარი საღამოს დროს რივიმ თითოეულ მოთამაშეს გადასცა სქელტანიანი რვეული. ამ რვეულებში ლაპარაკია მოთამაშის ღირსება-ნაკლოვანებებზე, ამასთან, ყურადღება ნაკლოვანებებზეა გამახვილებული და მითითებულია იმ საშუალებებზე, რომლებიც მწვრთნელს მიზანშეწონილად მიაჩნია მათ გამოსასწორებლად.

## კრამერმა „რიხიანად" დაიწყო

როგორც ვიუწყებოდით, ცნობილი დასავლეთგერმანელი მწვრთნელი კრამერი სათავეში ჩაუდგა აშშ-ს ნაკრებს. ამერიკელთა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში 1950 წელს ითამაშა ბრაზილიაში (სხვათა შორის, სძლია ინგლისის ნაკრებს — 1:0) და ახლაც აპირებს ამ უფლების მოსაპოვებლად ბრძოლას.

კრამერმა „რიხიანად" დაიწყო — უკვე უახლოეს ხანებში დანიშნა თავისი გუნდის 5 საერთაშორისო შეხვედრა ეროვნულ ნაკრებთა დონეზე.

## შედეგიანობაც ამას ჰქვია

რაც დრო გადის, გოლი სულ უფრო ძვირდება. ასეთ ვითარებაში ყურადღება მიიპყრო საფრანგეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის შედეგმა, სადაც ლიდერმა „სტად დე რეიმსმა" ანგარიშით 6:1 დაამარცხა I ლიგის ახალბედა „პარიზ სენტ-ჟერმენი".

ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ამ მატჩში შესრულდა ორმაგი „ჰეთ-თრიკი", უფრო სწორად, ექვსივე ბურთი გაიტანა არგენტინელმა თავდამსხმელმა კარლოს ბიანკიმ, რომელიც უკანასკნელი სეზონების მანძილზე „სტად დე რეიმსში" თამაშობს.

## რას მიქვია II ადგილი!..

დაახლოებით ასეთი რამ განაცხადეს ტურინის „იუვენტუსის" მეპატრონეებმა, ავტოკონცერნ „ფიატის" მფლობელებმა მას შემდეგ, რაც გუნდი იტალიის 1973-74 წლების ჩემპიონატში II ადგილზე გავიდა. ჯოხი გადატყდა მწვრთნელ ჩ. ვიცპალეკზე, რომელსაც გუნდის დატოვება მოუხდა. ერთი საინტერესო რამ: „იუვენტუსში" მწვრთნელები ხშირად იცვლებიან, უცვლელი რჩება მხოლოდ „ტექნიკური დირექტორი", წარსულში გამოჩენილი ფეხბურთელი ჯ. ბონიპერტი.

ახალ მწვრთნელად დანიშნეს 54 წლის კ. პაროლა, რომელიც ბოლო ხანებში II ლიგის კლუბ „ნოვარას" ხელმძღვანელობდა. უწინ პაროლა იტალიის ნაკრების ფეხბურთელი იყო.

## ქულები — მხოლოდ მოგებისთვის

როგორც ცნობილია, შარშან საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნულ ჩემპიონატში დააწესა ასეთი ექსპერიმენტი: გუნდს, რომელიც მოიგებდა 3 და მეტი ბურთის განსხვავებით, ორის ნაცვლად იწერებოდა 3 ქულა, თანაც თითო ქულას იღებდნენ გუნდები, რომლებიც თუმცა დამარცხდნენ, მაგრამ მაინც გაიტანეს 3 ბურთი.

ერთწლიანი გამოცდის შემდეგ ექსპერიმენტის ბოლო ნაწილი — დამარცხებულთათვის თითო ქულის მიცემა უვარგისად მიიჩნიეს. ამიტომ 1974-75 წლების ჩემპიონატში ზედმეტ ქულას იღებს მხოლოდ 3 ან მეტი ბურთის სხვაობით გამარჯვებული.

## ფარ-ხმალს არ ჰყრის

იტალიელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც ოქტომბერში იწყება, „იუვენტუსში" ცენტრალურ თავდამსხმელად ითამაშებს ახალგაზრდა ბორდონი, ან... 37 წლის ალტაფინი. ბრაზილიელი ვეტერანი ჯერჯერობით არ აპირებს ფეხბურთთან გამოთხოვებას.

ამას წინათ საექიმო შემოწმების დროს კონსილიუმმა დაადგინა, რომ ალტაფინი არაჩვეულებრივად ჯანმრთელია და ენერგიით აღსავსე. ექიმებს მიაჩნიათ, რომ ალტაფინის თამამად შეუძლია ითამაშოს კიდევ რამდენიმე წელს.



მაყურებელთა ყურადღების მისაპყრობად და საკუთარი ჯიბის გასასქელებლად კაპიტალისტური სამყაროს „სპორტის" მესვეურები ათასგვარ ხერხს მიმართავენ. იქ უკვე ჩვეულებრივ ამბად ითვლება მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება ლორმუცელობაში, ლუდის სმაში, წყალზე გაჩერებაში, ვერტიკალურად ცურვაში, თამბაქოს მოწევაში, შეუჩერებლივ ცეკვაში და კიდევ ვინ მოთვლის, რაში...

ამ სურათებზეც სწორედ ამგვარი შეჯიბრებების მომენტებია აღბეჭდილი. ზედა ფოტოზე თქვენ ხედავთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის სუპერ-ვარსკვლავს ფრანც ბეკენბაუერს. მან მიუნხენში ხის მჭრელთა კონკურსში მიიღო მონაწილეობა და საკმაოდ წარმატებითაც გამოვიდა: II ადგილი დაიკავა. პირველობა კი შუბის ტყორცნაში მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს კლაუს ვოლფერმანს ხვდა წილად.

ქვედა სურათზე ნიუიორკელ კარატისტებს ხედავთ. მათ შიშველი ხელებითა და ფეხებით ნაკუწნაკუწად აქციეს იაპონური ფირმის „სუბარუს" სპორტული ავტომანქანა. თქვენ ამ ავტომობილის განადგურების პირველი ეტაპის მოწმენი ხართ.

ცაფ—უნიფაქსის ფოტოები.




## ახლა — ფინალები

ფორესტ-ჰილსი, 8 სექტემბერი. ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე ღია ჩემპიონატში მასპინძლების ჯ. კონორსისა და რ. ტანერის ნახევარფინალური შეხვედრა უიმბლდონის წლევანდელი ჩემპიონის კონორსის გამარჯვებით დამთავრდა — 7:6, 7:6, 6:4. ფინალის მეორე საგზური მოიპოვა კ. როზუოლმა (ავსტრალია), რომელმაც თანამემამულე ჯ. ნიუკომბს სძლია — 6:7, 6:4, 6:4, 6:3.

ქალთა ერთეულების თანრიგის ნახევარფინალურ მატჩებში ი. გულაგონგმა (ავსტრალია) აჯობა კ. ევერტს (აშშ), ხოლო ბ.-ჯ. კინგმა — ჯ. ჰელდმანს (ორივე — აშშ).

## რაგბი

### სსრ კავშირის პირველობა

• •

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისთვის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფილი" (მოსკოვი) | 10 | 9 | 0 | 1 | 157—79 | 18 |
| სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი (კიევი) | 9 | 6 | 0 | 3 | 154—97 | 12 |
| სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) | 9 | 6 | 0 | 3 | 96—41 | 12 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგ.) | 10 | 6 | 0 | 4 | 132—101 | 12 |
| „ავტომობილისტი" (მოსკოვი) | 10 | 4 | 1 | 5 | 70—80 | 9 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 9 | 3 | 1 | 5 | 91—102 | 7 |
| „განთიადი" (თბილისი) | 10 | 2 | 0 | 8 | 59—173 | 4 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 9 | 1 | 0 | 8 | 52—138 | 2 |

ლასლო ტაბი

(უნგრეთი)

## გულშემატკივრები

### იუმორესკა

ხუთშაბათს დილით ვიღაცამ დამირეკა ტელეფონით. ვინაობა არ დაუსახელებია, მითხრა: „ამხანაგო რედაქტორო, წაიკითხეთ გუშინ ფეხბურთის მატჩს 40 ათასი მაყურებელი რომ დასწრებია?"

შეკითხვაზე — ვინ ლაპარაკობს, მან მომიგო: „გუშინ ოთხშაბათი იყო, სამუშაო დღე. მატჩი დაიწყო ოთხის ნახევარზე. აქედან დასკვნა: ორმოცი ათასი გულშემატკივარი, ყველაზე გვიანი დრო რომ ავიღოთ, სამ საათზე გაეშურა სტადიონისკენ! ჩემი ანგარიშით, დაიკარგა ასოცი ათასი სამუშაო საათი".

ჩემს ხელახალ მოთხოვნაზე — დაუყოვნებლივ ეთქვა თავისი ვინაობა, უცნობმა ყურმილი დადო.

ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ამ ტიპს არ ახარებს სპორტის პოპულარობა ჩვენში და უმალვე გადავწყვიტე უყურადღებოდ არ დამეტოვებინა ანონიმის ბოროტი გამოხდომა.

და აი, ვიღებ ნასროლ ხელთათმანს და ვიწყებ გამორკვევას, ვინ შედის ამ „ორმოც ათასში". მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი მშრომელებისთვის უცხოა დისციპლინის დარღვევა. აქედან გამომდინარე, ამ ორმოცი ათას გულშემატკივარს ნამდვილად ჰქონდა იმ დღეს სტადიონზე ყოფნის უფლება.

ჩემს მიერ კეთილსინდისიერად შედგენილმა სიამ ნათლად დაადასტურა ეს ვარაუდი.

აი, ეს სიაც:

ისინი, ვისთვისაც ფეხბურთის მინდორი სამუშაო ადგილად ითვლება: მწვრთნელები, მწვრთნელების თანაშემწეები, მეკუჭნავეები, ფარდულებში მოვაჭრეები, მოლარეები, სასპორტო კლუბების მუშაკები, წესრიგის დამცველები, სპორტული ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორები, მსაჯები და ა. შ. — 142 კაცი;

თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები, რომელთაც არა აქვთ მკაცრად ნორმირებული სამუშაო დრო: მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები და ა. შ. — 2866 კაცი;

ისინი, ვინც პირველ ცვლაში მუშაობს და ორ საათზე უკვე თავისუფალია — 8435 კაცი;

ისინი, ვინც მესამე ცვლაში მუშაობს და სამუშაო მხოლოდ ღამით ეწყება — 4866 კაცი;

ბავშვები, სტუდენტები და პენსიონერები — 3484 კაცი;

ის, ვინც იმ დღეს შვებულებაში იყო — 19605 კაცი;

ისინი, ვინც საავადმყოფო ფურცელზეა — 94 კაცი;

ისინი, ვინც გამთენიისას იწყებს სამსახურს: ღამის დარაჯები, რძის დამტარებლები, ვოგზლების მოსამსახურეები და ა. შ. — 303 კაცი;

ისინი, ვინც მატჩზე შეცდომით წავიდა, ან აერია (ეგონა, რომ გუშინ კვირა იყო, ან მთვრალი გახლდათ) — 196 კაცი;

უცხო ქვეყნის ქვეშევრდომები — 5 კაცი;

დეკრეტულ შვებულებაში მყოფი ქალები — 3;

სულ — 39999 კაცი.

ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ დღეს სამუშაო მხოლოდ ერთმა ადამიანმა გააცდინა.

გამოგიტყდებით, ეს მე ვყოფილვარ.

შ. ამირანაშვილის თარგმანი.

„ავაზა" იწვევს

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ბავშვთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა „ავაზა" (სკოლის დირექტორი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. მესხი) აწარმოებს 1965 წელს დაბადებულ ბავშვთა მიღებას.

მსურველთა გასინჯვა იწარმოებს ყოველდღე 10-12 და 15-18 საათებში, შემდეგი მისამართით: დიღმის მასივი, III კვარტალი, მე-18 კორპუსი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზრობა

ჭადრაკი. ჭადრაკის სასახლე (ლენინის ქ. № 37). ყრუ-მუნჯ მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალი. 11-25 სექტემბერი. 11 სექტემბერს — VI ტური, 12-ში — VII ტური. დასაწყისი 15 ს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02615